



## ინფორმაცია

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2011 წლის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
  - 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

#### 1. შესავალი

2011 წლის განმავლობაში განხილულია სულ 1902 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 142 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის:

– თბილისის სააპელაციო სასამართლოს 99 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 75, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ – 3, მთაწმინდის სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 5, გორის რაიონულმა სასამართლომ – 6, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 3, რუსთავის საქალაქო სასამართლომ – 2, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ – 1, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ – 1, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ – 2);

– ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 43 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 14, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 12, ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ – 1, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 7, საჩხერის რაიონულმა სასამართლომ – 1, ფოთის საქალაქო სასამართლომ – 2, ხონის რაიონულმა სასამართლომ – 1, მარტვილის რაიონულმა სასამართლომ – 2, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ – 1, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 1, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 1).

#### 2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

##### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი და სსკ-ის 105.2 და 380-ე მუხლები): თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1525-09 04.11.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2678-08 12.06.09) შემოსული სააპელაციო

საჩივრის შემოწმებისას მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულებები არ დაუშვა და არ დაასაბუთა თუ რაში მდგომარეობდა მათი დაგვიანებით წარდგენის არასაპატიოობა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების დარღვევას, რომლებიც სასამართლოს უფლებას ანიჭებდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით თავად შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეს არ შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმესთან დაკავშირებული ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებები, სსკ-ის 380-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს ისინი. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამასთან, სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-815-789(კ-10)12.01.11).

**ანალოგიური საქმეები:** №ბს-1069-1040(კ-10)27.01.11; №ბს-1309-1273(კ-10) 16.02.11.

**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №38/1883-09 08.04.10; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-445-10 27.07.10.

**ხოლო გადაწყვეტილებები მიღებულია:** თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1675-09 14.09.09); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/9-10 31.03.10).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 103-ე მუხლი და ასკ-ის მე-19 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-325-2010 30.06.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/237-09 05.02.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სამართლებრივად ვერ დაასაბუთა, რატომ ეთქვა უარი იმ ექვს მოსარჩელეს, რომელსაც ჰქონდა გენშტაბის ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული მოსარჩელები ნამდვილად იღებდნენ მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში და გათანაბრებულნი არიან დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის მე-19 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, სსკ-ის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1132-1100(კ-10) 10.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2226-10 16.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3111-10 16.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ამდენად, განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი იყო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებას და მსჯელობას სასარჩელო მოთხოვნაზე 2005 წლის თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაც საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა. გარდა ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა 2001 წლის თანხების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებას, სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, რატომ მიანიჭა მტკიცებულების ძალა მხოლოდ მოპასუხის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას და რატომ არ დაეყრდნო მოთხოვნილი თანხების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-55-54(კ-11) 24.05.11).

– ანალოგიური საქმეა №ბს-299-236-კ-05 21.07.11.

იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/52 23.12.04.

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ (03.05.04წ. გადაწყვეტილება).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 32.4 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/342 01.04.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2965-09 30.12.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დააკმაყოფილა სარჩელი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც ასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საკასაციო სასამართლომ ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-996-969(კ-10) 22.02.11).

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-1601-1560(კ-10) 24.03.11; №ბს-1853-1807(კ-10) 27.12.11; №ბს-740-715(კ-10) 01.03.11; №ბს-1171-1139(კ-10) 22.03.11; №ბს-1547-1508(კ-10) 13.04.2011; №1076-1065(კ-11) 10.11.11.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №33/1334-07 24.12.08; №33/1450-10, 14.09.10; №33/1468-09 30.10.09; №33/1598-09 03.02.10; №33/948-10 30.09.10; №33/636-11 07.06.11.

ხოლო გადაწყვეტილებები მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლო მიერ (საქმე №3/1093-06 06.02.06; საქმე №3/2410-08 19.05.09); მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე № 3-53-10 31.03.10); ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/050-09 28.07.09); გორის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/21-10 19.03.10); რუსთავის საქალაქო სასამართლო (№3/29-10 09.12.10).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 385.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/669-10 11.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4365-06 09.07.07) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, იხელმძღვანელა სსკ-ის 385.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 385.2, 377-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ვინაიდან საქალაქო სასამართლოს არ დაუდგენია სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა და არ უმსჯელია რამდენად არსებობდა სადავო დადგენილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, საქმე ექვემდებარებოდა საქალაქო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს შეეძლო არსებითად განეხილა საქმე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, შესაძლებლობა ჰქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და ხელახლა განსახილველად არ დაებრუნებინა საქმე. მით უფრო, რომ პროცესის ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო ესარგებლა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით და შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და მათი შეფასების, ურთიერთშეჯერების შედეგად ემსჯელა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე და თავად დაედგინა საქმეზე გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1105-1074(2კ-10) 01.02.11).

ანალოგიური საქმეებია: №ბს-1533-1494(კ-10)01.03.11; №ბს-1376-1340(კ-10) 31.03.11.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №33/1547-10 21.07.10; №33/174-10 23.03.10.

ხოლო გადაწყვეტილებები მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/120-10 20.05.10); ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/115-09 10.11.09).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 374-ე, 369-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/741-10 18.06.10) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-34-09 13.07.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიღო წარმოებაში და განიხილა სსკ-ის 369-ე მუხლის დარღვევით შეტანილი სააპელაციო საჩივრები, რის შედეგად მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების

გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, რაც ამ შემთხვევაში სახეზეა. იმავე დროს საპროცესო კანონის დარღვევამ მხარისათვის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, რაც ასევე გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1679-1635(კ-10) 28.04.11).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 33-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-271-2010 21.05.10) ამბროლაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/7-09 10.02.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება არა ასკ-ის 32-ე მუხლი, არამედ 33-ე მუხლის საფუძველზე, ადასტურებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ასკ-ის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალება უპირობოდ არ ადასტურებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის სასურველი აქტის გამოცემის ვალდებულებას. გარდა ამისა, ასკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ფაქტი ითვალისწინებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის დამატებით გამოკვლევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1031-1002(კ-10) 02.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-949-2009 06.07.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-91-2009 13.10.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, რადგან მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით შსს სამმართველოში დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ მიიჩნია საქმის წარმოების შეჩერების საფუძველად, რადგან სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ მიმდინარეობდა სასამართლოში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად ასევე განხილულ უნდა იქნეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სხვა საქმეზე მიმდინარეობს არა მხოლოდ სამართალწარმოება, არამედ ადმინისტრაციულ ან იუსტიციური ფუნქციების განმახორციელებელ ორგანოში საქმის წარმოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1315-1279(კ-10) 15.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 172-ე და სსკ-ის 105-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/230-10 13.04.10) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/147-09 24.12.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გაიზიარა წინააღმდეგობრივი ექსპერტიზის დასკვნა და არ გაიზიარა მოწმეთა ჩვენებები, რის გამოც დაირღვა სსკ-ის 172-ე და 105-ე მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის ექსპერტის დასკვნა და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-№858-832(კ-10) 16.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-9 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1137-10 17.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 3/690-09 05.05.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ასკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დავა შეეხება სოციალურ საკითხს, რაც ავალდებულებს ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმე განიხილოს სახელმწიფო ბაჟის მოთხოვნის გარეშე. ასკ-ის მე-9 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში როგორც მოპასუხე, ისე მოსარჩელე გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე არასწორად გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, იგი ექვემდებარება უკან დაბრუნებას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი დაბრუნება ევალბა მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილება №ბს-764-758(კ-10) 20.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-540-10 13.10.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/214-09 06.04.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიანგარიშა სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ასკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ გაანახევრა სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი და დავის საგნის ღირებულების 4%-ს გამოაკლო მხოლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ამდენად მოსარჩელეს დავის საგნის ღირებულების 4%-ის ნახევარს უნდა გამოაკლდეს მოსარჩელის

მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა (გადაწყვეტილება №ბს-1873-1826(კ-10) 28.04.11).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/975-11 23.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/193 04.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქმის გარემოებების არასრულად გამოკვლევისა და მატერიალური ნორმის არასწორი გამოყენების საფუძველზე აპელანტს, რომელიც „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადასახადისგან გათავისუფლებას ექვემდებარებოდა, დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ინვალიდები ყველა სარჩელზე თავისუფლდებიან. ვინაიდან აღნიშნული კანონის საფუძველზე მოსარჩელე, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. შესაბამისად, საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაუქმდა (გადაწყვეტილება №ბს-1319-1304(კ-11) 29.11.11).

**სასამართლოს შეცდომა („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/435-11 23.06.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/659-10 05.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნა და მოსარჩელეს დააკისრეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა მაშინ, როდესაც მოსარჩელე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტა ხდება „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი არის სპეციალური ნორმა, რომელიც არეგულირებს უშუალოდ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს. ექსპროპრიაციის ვალდებულება გადაინადოს მხარეთა მიერ გაღებული ყველა ხარჯი, მათ შორის, სამართალწარმოების ხარჯები, აგრეთვე საექსპროპრიაციო ქონების შეფასებასთან და მის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეებს დაუბრუნდა ყველა ინსტანციის სასამართლოში მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (გადაწყვეტილება №ბს-1424-1406(კ-11) 26.12.11).

ანალოგიური საქმეებია: №ბს-1275-1261(კ-11) 21.11.11; №ბს-1351-1336(კ-11) 21.11.11; №ბს-338-335(კ-11) 30.06.11.

იგივე შეცდომა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-379-2011 07.06.11; №3/ბ-139-11 28.04.11; №3/ბ-883-2010 24.12.10.

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-648/10 25.02.11; საქმე №3-545/10 17.12.10; საქმე №3-25/10 02.02.10).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 85-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (3/ბ-365-2010 06.07.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/251-09 27.02.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა სსკ-ის 85-ე მუხლით სასამართლოსათვის მინიჭებულ ვალდებულებაზე, რომლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე ან მოსარჩელეს სწორად ჰყავს თუ არა ყველა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ დასახელებული მოპასუხე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, რადგან სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მოტივირებს იმ მოსაზრებაზე, რომ ქ. ქუთაისის მერია არ წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, ვინაიდან მას ხელშეკრულების დადების უფლება აღარ გააჩნია, სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს ვის გააჩნია ამ ხელშეკრულების დადების უფლება და არასათანადო მოპასუხე საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს სათანადო მოპასუხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1135-1103(კ-10) 13.04.11).

– ანალოგიურია საქმეები: №ბს-1140-1108(კ-10) 13.04.11; № 1249-1334(კ-11) 20.12.11.

იგივე შეცდომა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-364-10 22.06.10; №3/ბ-270-2011 13.05.11.

ზოლო გადაწყვეტილებები მიღებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/250-09 27.02.10; საქმე №2/429-2011 28.06.12).

**სასამართლოს შეცდომა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-478-10 27.08.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/14-2010 28.04.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და ბათილად ცნო აღმასრულებლის მოქმედება ისე, რომ არ იმსჯელა რა მოქმედება განახორციელა სააღსრულებო ორგანომ. კერძოდ, არ გამოარგია აღსრულების შეწყვეტის საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღსრულება შეწყდება, თუ კრედიტორმა უარი თქვა გადახდევინებაზე; ზოლო ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორისა და მოვალის მორიგება სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა მოხდა თუ არა მხარეთა შორის მორიგების შედეგად, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა ისარგებლოს ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოიპოვოს მტკიცებულებები, შედგა თუ არა



აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაზე ოქმი და რა საფუძვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1477-1439(2კ-10) 03.05.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 266-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ-842-2010 24.11.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/78-10 31.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ გასული იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რაც დადგენილია სადავო საკითხზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით. სააპელაციო პალატამ გამოიყენა რა საგადასახადო კიდექის 85.2.3 მუხლი და ხელმეორედ იმსჯელა იმავე საკითხზე, რის გამოც დაარღვია სსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, აუცილებელია სსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინება იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-39-38(კ-11) 29.06.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 102-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1732-10 11.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1458-09 17.11.09). შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და არც მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებების დასადგენად, რომ მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხა წარმოადგენდა განმეორებით დარიცხულ ერთსა და იმავე თანხას, არ გაითვალისწინა სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია მტკიცებების ტვირთის მხოლოდ მოსარჩელეზე გადაკისრება და განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს და გამოიკვლიოს, რა გახდა სადავო თანხის დარიცხვის საფუძველი, რა მიზნითაც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც სასამართლოს მისცემს სადავო თანხის წარმომავლობის დადგენის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია საჩივრის უარყოფა მხოლოდ იმ მოტივით, რომ პირმა არასწორად შეარჩია საჩივრის სათაური, თუმცა ცალსახად და სრულად გადმოსცა საკუთარი მოთხოვნები და ის მოტივები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1916-1869(კ-10) 01.06.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 92-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1638-10 08.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 3/2125-06 17.08.06) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ისე ცნო ლიკვიდირებული უფლებამონაცვლედ, რომ არ იმსჯელა რამდენად გააჩნდა მას ლიკვიდირებული სამმართველოს უფლებამოსილებანი და შეეძლო თუ არა მას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამისად, ემსჯელა მოსარჩელის სამსახურში აღდგენა/გათავისუფლების საკითხზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს თუ ვის გადაეცა ლიკვიდირებული სამმართველოს უფლებამოსილება და ქონება. ასევე გამოიკვლიოს ვინ წარმოადგენს მის საპროცესო უფლებამონაცვლეს – ადმინისტრაციული ორგანო თუ სახელმწიფოს 100-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-483-480(კ-11) 21.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2270-10 01.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2421-10 21.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას პირველ ინსტანციაში საქმის განმხილველი მოსამართლის მონაწილეობით სააპელაციო წესით განიხილა საქმე, არ გაითვალისწინა სსკ-ის 29-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე საქმის განხილვაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ. პირველ და სააპელაციო ინსტანციებში ერთი და იმავე მოსამართლის მონაწილეობით საქმის განხილვა წარმოადგენს სსკ-ის 394-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-507-502(კ-11) 13.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1136-10 29.09.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2390 25.10.06) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ განისაზღვრა ზუსტად მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა, ამასთანავე არ გაურკვევია ხსენებულ პერიოდში მოპასუხის ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტი. ამდენად, სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა „2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით განსაზღვრული არ ყოფილა და მხოლოდ მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტში იქნა გათვალისწინებული. ამდენად, საფუძველს მოკლებული იყო სააპელაციო პალატის მიერ იმ გარემოების დადგენილად მიჩნევა, რომ სადავო პერიოდში – 2000 წელს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი იყო ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება – 2,0 ლარი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1824-1778(კ-10) 13.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-432-2007 27.04.07) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-532-05 07.11.05) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამ საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება მოსარჩელის მიერ ყალბი შრომის წიგნაკის დამზადება-გამოყენების ფაქტზე და არ შეაჩერა საქმის წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რითაც დაარღვია სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ ყალბი შრომის წიგნაკის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რაც მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც შეუძლია ისარგებლოს ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-707-673(კ-07) 15.09.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე და 106-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1946-10 12.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1944-2010 30.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო გარემოება, რის გამოც დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად მოსარჩელისათვის დღგ-ს ძირითადი თანხის, ჯარიმებისა და საურავების სავარაუდო დარიცხვა განხორციელდა კანონიერად, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ წინასწარი გამოძიების მასალებს, კერძოდ, საგამოძიებო დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული თემატური შემოწმების აქტს, არ გაითვალისწინა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებებს, სსკ-ის 106-ე მუხლში 24.09.10წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, არ ენიჭება პრეიუდიციული მნიშვნელობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და აღნიშნა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება – უსაქონლო ოპერაციის განხორციელება. ვინაიდან საქმეზე არ არის დადგენილი ფიქტიური გარიგების დადება, უსაქონლო ოპერაციის განხორციელების ფაქტი, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ უნდა გამოეკვლია საქმის ყველა გარემოება და მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და საქონელი მიაწოდა შემსყიდველს, რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-78-77(კ-11) 28.09.11**).

– ანალოგიური საქმეა №ბს-734-728(კ-11) 19.10.11.

**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/254-11 10.03.11.**

**ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/4959-10 29.12.10).**

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 106-ს მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-997-2010 11.02.11) საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/27-10 28.10.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა არ შეიძლება მიენიჭოს ადმინისტრაციული საქმის განხილვისას. სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ დაასაბუთა თუ რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს განსახილველი სამართალ-ურთიერთობის მიმართ. პალატამ მხოლოდ აღნიშნა, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო საკითხზე სამოქალაქო საქმესა და განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში სხვადასხვა მხარეების არსებობა არ გამორიცხავს გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭებას. სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ასევე მოიცავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების სავალდებულობას, მის პრეიუდიციულ ძალას, რომლებიც ასევე არ საჭიროებენ დადასტურებას – მტკიცებას მხარეთა მიერ წარმოებულ ადმინისტრაციულ საქმეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-907-900(კ-11) 13.10.11**)

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 390-ე და 249.4 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2093-09 29.09.10) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 20.11.02წ. გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა დავის საგანზე, სააპელაციო საჩივარში აღნიშნულ არგუმენტებზე მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა რაიმე

მსჯელობას სადავო საკითხებთან დაკავშირებით. გაურკვეველია თუ რა ფაქტობრივი გარემოებებითა და სამართლებრივი საფუძვლებით იხელმძღვანელა სასამართლომ, რა მიიჩნია დადგენილად და რომელი ნორმა გამოიყენა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. სააპელაციო პალატა ვალდებული იყო ემსჯელა სააპელაციო საჩივარში აღნიშნულ არგუმენტებზე, რომელიც შეიცავს მითითებებს ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მითითების თანახმად, არასაკმარისი იყო მხარეთა შორის საექსპედიციო მომსახურების ხელშეკრულების ფაქტის დადგენა, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა თუ რა სახის ხელშეკრულება იყო დადებული – კონსესუალური თუ რეალური. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-118-117(კ-11) 05.10.11).

**ანალოგიური საქმეები:** №ბს-635-630(კ-11) 22.12.11; №ბს-1349-1334(კ-11) 20.12.11.

**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3ბ/2153-10 20.12.10; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-270-2011 13.05.11.

**ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1404-10 17.08.10); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №2/429-2010 28.06.10).**

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1255-10 17.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/438-10 31.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა ასკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა და ისე ჩათვალა მერიის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი კანონიერად, რომ არ გამოარკია, ჩაიდინა თუ არა მოსარჩელემ ის კონკრეტული სამართალდარღვევა, რომელიც მას შეერაცხა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული აქტების კანონიერებას შემოწმების პროცესში სავალდებულოა ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, რომლის შესაბამისადაც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-518-513(კ-11) 19.10.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 312.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1901-10 07.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/423-10 29.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სააგენტოს სამსახურს დაავალა მისი კომპეტენციის გაუთვალისწინებელი ფუნქციის შესრულება (მამად აღიარება) მაშინ, როდესაც მამობის დადგენა თავისი არსით არის პირთა ნათესაური კავშირის ნაირსახეობა, რაც სასამართლო

კომპეტენციას განეკუთვნება. არასწორია სააპელაციო პალატის მიერ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 116<sup>5</sup>-ე მუხლისა და სსკ-ის მესამე კარის დებულებებზე მითითება, ვინაიდან აღნიშნულ ნორმებს ადმინისტრაციული ორგანო იყენებს მის უფლებამოსილებაში შემავალი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ნათესაური კავშირის შესახებ ფაქტის დადგენა სცილდება სამოქალაქო რეესტრის ორგანოს უფლებამოსილების სფეროს, აღნიშნული სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უდავო წარმოების წესით სასამართლოს მიერ დასადგენ გარემოებათა წრეს განეკუთვნება და მისი განხილვა არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-195-192(კ-11) 13.07.11).

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლი, ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> და 96-ე მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-371-09 29.07.09) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-484/08 18.03.09) მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშ-ფაქტურის სწორად და დროულად შევსება საქონლის მიმწოდებლის ვალდებულება იყო, საგადასახადო პასუხისმგებლობა სწორად დაეკისრა მოსარჩელეს, რადგან ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილი იყო 2 დღის დაგვიანებით. სააპელაციო პალატამ ცნო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერად მაშინ, როდესაც სახეზე იყო აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დღგ-ს, როგორც არაპირდაპირი გადასახადის გადახდის ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში ეკისრებოდა იმ მეწარმეს, ვინც განახორციელა საქონლის მიწოდება, რადგან იგი წარმოადგენდა დღგ-ს გადასახადზე ვალდებულ პირს. საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი ანგარიშ-ფაქტურის სწორად, დროულად და სათანადო ფორმით შევსებას და მყიდველზე გადაცემას ავალბდა სწორედ გამყიდველს, როგორც საქონლის მომწოდებელს. მოსარჩელე წარმოადგენდა მყიდველს და არა მიმწოდებელს. ამდენად, იგი დღგ-ის, როგორც არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელად ვერ მიიჩნეოდა და შესაბამისად, ვერ დაეკისრებოდა საგადასახადო პასუხისმგებლობა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმის გარემოებების გაანალიზება, შესწავლა და მათი სწორი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურის რეგიონულ ცენტრს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1381-1320(კ-10) 27.01.11).

ანალოგიური საქმეებია: №ბს-238-229(კ-10) 27.01.11; №ბს-581-560(კ-10) 25.01.11; №ბს-914-888(კ-10) 12.01.11.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3პ/1021-09 30.09.09; №3პ/2216-09 24.02.10; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-131-2010 06.05.10.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1622-08 12.12.08; საქმე №3/1381-09 02.11.09); ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-444 31.05.06).

**სასამართლოს შეცდომა („კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-866-09 30.12.09) ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/28 14.08.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიკვლია პრივატიზაციის პირობების არსებობა სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რითაც დაარღვია პრეზიდენტის 29.01.07წ. №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ფართის უსასყიდლოდ გადაცემის წესი მოითხოვს ერთდროულად ორი პირობის არსებობას, კერძოდ, კანონიერ სარგებლობასა და მფლობელობას. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის კანონიერების დადგენისას სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა არა მხოლოდ სარგებლობის კანონიერებაზე, არამედ საცხოვრებელი ფართის პრივატიზების მეორე – მფლობელობის პირობის არსებობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-287-276(კ-10) 26.01.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/1510-10 23.07.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/829 24.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დააკმაყოფილა მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ ასევე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე 2010 წლის 26 იანვრის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 25 სექტემბრიდან, რის გამოც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის თანახმად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მოხდეს, პირის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების

გამოცემიდან ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამასთან, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ითვლება, რომ მოხელე, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან განთავისუფლებული არ არის, რის გამოც მას მიეცემა იძულებითი განაცდური ხელფასი, იმ ხელფასის შესაბამისად, რომელსაც იგი იღებდა სადავო ბრძანების გამოცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1262-1226(კ-10) 11.01.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 420-ე მუხლი, „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-4<sup>1</sup> პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2159-09 09.03.10) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/102-09 09.11.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ასევე არ გამოიყენა „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-4<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა სამხედრო მოსამსახურის პირგასამტეხლოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მოცემულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს პირგასამტეხლოს თანხა გონივრულ ფარგლებში, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო მის ქონებრივი, არამედ ყველა სხვა პატივისცემის ინტერესი, შეაფასოს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ სახელშეკრულებო დათქმის საფუძველზე ისედაც მაღალ პირგასამტეხლოზე, პირგასამტეხლოს მეორე სახის – საურავის დაკისრება შეუსაბამოდ მაღალია მოსალოდნელი ზიანის მიმართ. ამასთან, „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-4<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურისათვის ჯარიმის და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და არ დააკმაყოფილა სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილება №ბს-1048-1019(2კ-10) 25.01.11).

**ანალოგიური საქმეებია:** №ბს-1422-1385(2კ-10) 17.02.11; №ბს-1541-1520(კ-11) 22.12.11; №409-406(2კ-11) 21.03.11; 1478-1440(2კ-10) 17.03.11; №ბს-12-11(კ-11) 14.02.2011; №ბს-1258-1244(კ-11) 27.12.11; №ბს-1521-1500(კ-11) 22.12.11; №ბს-1868-1821(2კ-10) 20.12.11; №ბს-1388-1352(კ-10) 14.12.11; №ბს-1522-1501(კ-11) 26.12.11.

**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3ბ/1394-10 16.07.10; №3ბ/2396-10 26.11.10; №ბ/782-10 10.06.10; №3ბ/94-11 04.02.11; **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3/ბ-741-10 30.11.10; №3/ბ-515-2011 27.06.11; №3/ბ-364-2011 27.06.11; №3/ბ-768-2010 29.10.10; №3/ბ-207-2010 16.06.10; №3/ბ-613-2011 01.08.11.



ხოლო გადაწყვეტილებები მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/179 5-10 19.05.10; საქმე №3/4056-10 13.10.10); ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/16-09 10.02.10); ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/104-10 22.11.10); ხონის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/10-2010 21.07.10); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/110-2011 29.04.11); საქმე №3/58-2011 31.03.11); ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/89-10 25.08.10; საქმე №3/100-09 19.11.09); ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/54 09.06.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 89.1 და 12.25 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-970-09 26.04.10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/128-2009 02.10.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, არ დაადგინა იყო თუ არა სახეზე საინკასო დავალების წარდგენის საგადასახადო კოდექსის 89.1 და 12.25 მუხლებით განსაზღვრული წანამძღვრები, ისე დაადასტურა სადავო თანხის დარიცხვის კანონიერება, რომ არ გამოარკვია, მოხდა თუ არა ანგარიშ-ფაქტურის საგადასახადო ორგანოში წარდგენა და განხორციელდა თუ არა მის საფუძველზე დღგ-ის ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩათვლა. არამოტივირებულია ასევე სააპელაციო სასამართლოს შეფასება საურავზე ჯარიმის დარიცხვის კანონიერების შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს უფლება საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები შეეხება მხოლოდ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებებს, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ იყო. საკასაციო სასამართლომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ისე სასამართლოს მხრიდან, დაუშვებლად მიიჩნია, დარიცხვის სავარაუდო საფუძველებზე მითითებით, პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც ფინანსური პასუხისმგებლობის ერთ ზომას ერიცხება ფინანსური პასუხისმგებლობის მეორე ზომა, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია დაამტკიცოს აღნიშნული დარიცხვის კანონიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1025-998(კ-10) 26.01.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-3 ნაწილი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/286-10 16.03.10) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/17-10 13.01.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სადავო აქტების გამოცემისას საგადასახადო ორგანომ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს. ასევე სასამართლომ ქმედება, სამართალდარღვევებს შორის დროის ინტერვალის მიუხედავად, განმეორებით ჩადენილად მიიჩნია. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 139.3 მუხლის გამოყენება უნდა მოხდეს 139.2 მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემდეგ, ყოველ შემდგომ განმეორებაზე, მიუხედავად იმისა 139.2 მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენებიდან რა პერიოდი გავიდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის მიმართ საგადასახადო კოდექსში სპეციალური მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში საგადასახადო სამართალდარღვევის მიმართ შესაძლებელია ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის 39-ე მუხლის გამოყენება, ამდენად, საკასაციო პალატამ ბოლო სამართალდარღვევებს შორის ინტერვალის სიმცირე ქმედების არაერთგზისობის გამოძირცხვად გარემოებად მიიჩნია, რის გამოც არ არსებობდა საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაზრდილი საჯარიმო სანქციის გამოყენების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ ცნო ბათილად სადავო აქტები და საგადასახადო ინსპექციას დაავალა შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-903-877(კ-10) 26.01.11**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-981-10 29.12.10) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-28/10 21.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას განმარტა, რომ 2009 წლის 24 აგვისტოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის რედაქცია არ ითვალისწინებდა, პირველად ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემდეგ რა ვადაში ითვლებოდა ქმედება განმეორებით ჩადენილად. გარდა ამისა, დაუშვებელია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმის გამოყენება. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სადავო ურთიერთობაზე საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-15 ნაწილი, ვინაიდან გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუქცევის ძალა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის მიმართ საგადასახადო კოდექსში სპეციალური მოწესრიგების არარსებობის შემთხვევაში არ გამოიძირცხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობა. საგადასახადო კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სადავო აქტის გასაჩივრების შემთხვევაში, პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა საგადასახადო ორგანოს სადავო აქტები, რისი გათვალისწინებითაც სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი შედეგის გამოყენება და ხსენებული ნორმისთვის ე.წ. „ნამდვილი უკუძალის“ მინიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები და მოსარჩელეს გადასახდელად განისაზღვრა შემცირებული თანხის გადახდა (**გადაწყვეტილება №ბს-396-393(კ-11) 20.07.11**).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38.1 და 232.7 მუხლების დარღვევა):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-733-09 11.12.09) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-144/09 03.08.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>10</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ამავე კანონის მე-5<sup>8</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, არ გამოიყენა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი. ამასთანავე, საქმეზე არ დასტურდება სადავო აქტების გამოცემის

დროს მოქმედი „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ კანონის 1.3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, ასევე არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38.1 და 232.7 მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მშენებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38.1 და 232.7 მუხლებით და გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტიდან განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება (გადაწყვეტილება №ბს-302-291(კ-10) 26.01.2011).

– ანალოგიური საქმეა №ბს-347-336(კ-10) 26.01.11.

იგივე შეცდომაა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-797-09 21.12.09.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ: (საქმე №3-166/09 13.07.09).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1313-10 22.07.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1217-10 10.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გამოიანგარიშა მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვიდან მაშინ, როდესაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის“ №2 დანართის მე-7<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოსა“ და „მოქმედი საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვის“ ცნებების გამიჯვნას, რადგან მათი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა აქტით ხდება. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად შესაძლებელი იყო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვიდან გაანგარიშება, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ უთითებს, რომ საქართველოს

სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოდან, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №661 ბრძანებულებით „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №43 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 135 ლარით (გადაწყვეტილება №ბს-1361-1325(კ-10) 10.02.11).

**ანალოგიური საქმეა №ბს-1331-1295(კ-10) 10.02.11.**

**იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/1332-10 07.09.10.**

**ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1310-10 06.05.10).**

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს მთავრობის №145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/906-10 27.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №3/3300-09 01.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის №145 დადგენილების მე-11 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები, არ გაითვალისწინა დადგენილების მე-11 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნა. დაუსაბუთებელი იყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საარსებო შემწეობის მიღებაზე წერილობითი თანხმობის წარდგენა მოსარჩელების ვალდებულებას წარმოადგენს და მათ საარსებო შემწეობის თანხები, მხოლოდ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ უნდა აუნაზღაურდეთ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღების უფლებას მოიპოვებენ ის პირები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლები არის ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე. იმავე დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ოჯახებს საარსებო შემწეობა უნდა მიეცეს 2009 წლის იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კანონმდებელს საარსებო შემწეობის დანიშვნის სავალდებულო პირობად არ განუსაზღვრავს საარსებო შემწეობის მიმღები სუბიექტების მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენა. შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის დაგვიანებით მოპოვება და შემდგომ, აღნიშნული ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდება არ შეიძლება გახდეს საარსებო შემწეობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაავალა მოსარჩელების ოჯახებზე შემწეობის გაცემა (გადაწყვეტილება №ბს-1256-1220(კ-10) 17.02.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 144.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1664-09 26.11.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2146-08 18.02.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სკ-ის 144.1 მუხლით, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 142.1 მუხლი. არასწორი იყო სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებით სარგებლობა უფლების მომპოვებელ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს, დროში შეუზღუდავად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 144.1 მუხლი არ ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაზე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო შებოჭილია კანონიერების პრინციპით, რაც გულისხმობს უფლებამოსილების განხორციელებას კანონის საფუძველზე და დადგენილ ფარგლებში, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით განისაზღვრება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-538-518(კ-10) 01.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 137-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1281-10 25.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1226-10 20.04.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სკ-ის 137-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ თუ ვალდებულმა პირმა უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობა აღიარა, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება (სკ-ის 144-ე მუხლი):**

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და დააკმაყოფილა სარჩელი კრედიტორული დავალიანების დაკისრების თაობაზე (გადაწყვეტილება №ბს-1197-1164(კ-10) 01.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 22.10 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/660-07 19.07.07) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2049 02.08.05) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 ნაწილი, არსებითად არ შეამოწმა სადავო საგადასახადო შემოწმების აქტის კანონიერება და სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია მხოლოდ იმ მოტივით, რომ 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იმავე კოდექსის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილს, როგორც საბაზრო ფასის განსაზღვრის პროცედურულ დებულებას, აქვს უკუქცევითი ძალა ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი სადავო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსის ამოქმედებამდე მოსარჩელის მიერ განხორციელებული საგადასახადო ოპერაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის კანონიერება, ხოლო ამ ნაწილში 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსს არა აქვს უკუქცევითი ძალა. 2004 წლის 22 დეკემბრის საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილი განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის დაბეგვრის მიზნით, საბაზრო ფასის გამოყენების შემთხვევებს, პირობებს და ადგენს საამისოდ აუცილებელ ფორმალურ მოთხოვნას, ხოლო საბაზრო ფასის განსაზღვრის პროცედურას არ აწესრიგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1198-1165(2კ-10) 31.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 104.3, 143.2, 156.5 მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-658-10 03.09.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/125-09 10.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას კანონიერად ცნო დაჯარიმების თაობაზე საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მაშინ, როდესაც საქმეში არ იქნა წარმოდგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და ინდ/მეწარმის დაჯარიმების საფუძველად იქცა მხოლოდ მეწარმის მხრიდან ანალიზური აღრიცხვის ბარათების წარმოუდგენლობა. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სანქცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სასაქონლო ზედნადებების არასრულად (ან არასწორად) შევსების ფაქტი. საგადასახადო აქტების კანონიერების შემოწმებისას არ გაითვალისწინა, რომ შემოსავლების სამსახური შემოიფარგლა მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის განმარტებებით და მოპასუხის მხრიდან არც ერთი არგუმენტი, მტკიცებულება თუ სამართლებრივი ნორმა, რომელიც გააბათილებდა თუ უარყოფდა საჩივრის ავტორის მოსაზრებებს წარმოდგენილი არ იყო, რითაც დარღვეულია, როგორც საგადასახადო კოდექსის, ისე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იმ გარემოების დასადგენად, გამოყენებულ უნდა იქნეს თუ არა კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ღონისძიება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ იმ გარემოების დადგენას, ჰქონდა თუ არა ადგილი მეწარმის მხრიდან საქონლის აღურიცხაობის ფაქტს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საბუღალტრო ნაშთის შედარება არსებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობასთან დანაკლისისა თუ მეტობის დადგენის მიზნით უნდა მოხდეს გამარტივებული აღრიცხვის წიგნში ასახულ საბუღალტრო მონაცემებთან შედარების გზით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზეც მოხდა ამა თუ იმ მტკიცებულებების უარყოფა, ნორმატიული აქტები და ნორმები, რომლითაც ხელმძღვანელობდა იგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო

სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტების გამოცემა (გადაწყვეტილება № ბს-1476-1438(კ-10) 30.03.11).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1772-09 01.12.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№3/1999-09 16.09.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ საჯარო მოსამსახურის მინიმალური ხელფასის ზრდასთან ერთად „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი ავტომატურ რეჟიმში კომპენსაციის, სტიპენდიის გადაანგარიშებას არ ითვალისწინებს. კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის მიძღვნილი უფლებამოსილია საჯარო მოსამსახურის მინიმალური ხელფასის ზრდის გათვალისწინებით წარადგინოს განცხადება შესაბამის ორგანოში სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოებისა და მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელისათვის მოთხოვნილი სტიპენდიის სხვაობის ანაზღაურება დამოკიდებული იყო მის მიერ განცხადების წარდგენაზე და აღნიშნა, რომ კანონმდებლობა განცხადების წარდგენის ვალდებულებას სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით ითვალისწინებს. სადავო შემთხვევაში კი მოსარჩელის მოთხოვნას სტიპენდიის დანიშვნა არ წარმოადგენდა, ვინაიდან მას სტიპენდია უკვე დანიშნული ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და დააკმაყოფილა სარჩელი მიუღებელი სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ანაზღაურების შესახებ (გადაწყვეტილება №ბს-1366-1330(კ-10) 31.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1905-10 21.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/790-10 06.07.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სარჩელი საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა საგადასახადო კოდექსის 247-ე და 248-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით გამოწვერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე დღგ-ს ჩათვლების განხორციელებას, რის გამოც მას კანონიერად გაუქმდა ჩათვლები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, დღგ-ს როგორც არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა საქონლის მიწოდებელს ან/და მომსახურების გამწვეს, ე.ი. იმ მეწარმეს, ვინც განახორციელა საქონლის მიწოდება. ამდენად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი ანგარიშ-ფაქტურის სწორად, დროულად და სათანადო ფორმით შევსებას და მყიდველზე გადაცემას ავალდებულებდა სწორედ გამყიდველს და შესაბამისად, პასუხისმგებლობა მოსარჩელეს არ უნდა დაკისრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, ბათილად ცნო სადავო აქტები და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-313-310(კ-11) 30.06.11).

– ანალოგიური საქმეა №ბს-725-701(3კ-10) 20.04.11;

იგივე შეცდომაა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლის მიერ: №3/ბ-883-09 29.12.09.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/33 10.08.09).

**სასამართლოს შეცდომა („პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1373-11 11.08.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1753-11 23.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ ულუფის კომპენსაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნები, ხოლო ულუფის კომპენსაციის მიმართ უნდა გავრცელდეს სკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა – კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულობის პალატამ არ გაითვალისწინა „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქცია მაშინ, როდესაც 2000 წლის კვების (ულუფის) კომპენსაციის დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პირობებში.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას და სხვა. პალატამ განმარტა, რომ სარჩელის მოთხოვნებიდან გამომდინარე დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს ის სამართლებრივი ნორმები (კანონის იმ რედაქციის სამართლებრივი ნორმები), რომელთა მოქმედების დროსაც წარმოიშვა სახელფასო დავალიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და დააკმაყოფილა სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში (გადაწყვეტილება №ბს-1505-1484(კ-11) 27.12.11).

ანალოგიური საქმეებია: №ბს-1410-1374(კ-10) 19.04.11; №ბს-686-680(კ-11) 08.09.11; №ბს-347-344(კ-11) 05.07.11; №ბს-442-439(კ-11) 26.07.11; №ბს-619-614(კ-11) 20.09.11.

იგივე შეცდომაა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3/ბ-373-2010 16.06.10; №3/ბ-1037-2010 18.01.11; №3/ბ-1039-10 29.12.10; თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/2713-10 30.12.10; №3ბ/2635-10 13.01.11.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია: მარტვილის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/6-2010 31.03.10; საქმე №3/16-2010 12.10.10); ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3-101-2010 08.10.10); თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/4183-10 29.10.10; საქმე №3/4192-10 02.11.10).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლი და „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.5 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-317-2010 31.05.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/84-09 01.12.09) შემოსული სააპელაციო



საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ წამლის შექმნისას გამყიდველის მიერ ჩეკის ამობეჭდვა მოხდა წამლის გადაცემისა და ფულის მიღების შემდეგ, რამოდენიმე მეტრით მოშორებულ შერეული საქონლით მოვაჭრე სექციაში გასვლის შედეგად, რაც ქმნიდა გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების ფაქტობრივ საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მოპასუხის მიერ კონტროლის პროცედურების განხორციელებისას დაცულ იქნა თუ არა „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.5 მუხლის მოთხოვნები და წარუგინეს თუ არა მათ გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელს უფლებამოსილების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 3.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სამოქმედო ტერიტორიის კონკრეტული ქუჩების, უბნების ზუსტი აღწერით. ასევე იმ გადამხდელთა სრულ ჩამონათვალს, რომლის მიმართაც მუდმივად უნდა განხორციელდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე შესაბამისი კონტროლის პროცედურები. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ჩეკის გაცემა ხდება ნაღდი ფულის გადახდისთანავე ან/და ხურდის დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორს, მომხმარებელზე ჩეკი მიცემულ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს მოცემულ შემთხვევაში გამყიდველმა, რომელმაც წამალი მიჰყიდა და რომელთანაც მოხდა ანგარიშსწორება საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ, იყო თუ არა მოლარე-ოპერატორი და მოხდა თუ არა გონივრულ ვადაში ჩეკის ამობეჭდვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1305-1269(კ-10) 05.04.11).

**სასამართლოს შეცდომა („უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე დანიშნული სოციალური დახმარების ადმინისტრირების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 31 აგვისტოს №283/ნ ბრძანების 7.7 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/766-10 27.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4062-09 16.02.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დაადგინა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენდა თუ არა შემწეობის შეწყვეტის ერთადერთ საფუძველს და აღნიშნული გამორიცხავდა თუ არა მოსარჩელის ვალდებულებებს. არ გაითვალისწინა „უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე დანიშნული სოციალური დახმარების ადმინისტრირების გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.08.09წ. №283/ნ ბრძანების 7.7 მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 31.08.09წ. №283/ნ ბრძანების 7.7 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ნორმატიული აქტის საფუძველზე აკრძალულია საოჯახო დახმარების აღდგენა. სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს წარმოადგენდა თუ არა რეგისტრაცია უკვე დანიშნული სოციალური დახმარების გაგრძელების სავალდებულო წინაპირობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1491-1453(კ-10) 13.04.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 143.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/578-10 20.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4050-09 05.02.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ აწარმოებდა ბუღალტერიას დადგენილი წესით, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება გადამხდელის მიერ გამარტივებული აღრიცხვის წიგნის დასალუქად საგადასახადო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვის ფაქტი, რაც წარმოადგენს „შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებული სისტემის შემოღების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის 31.12.04 წ. №889 ბრძანებით გათვალისწინებული წესის დარღვევას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს, ყველა დოკუმენტის არსებობის პირობებში, მარტოოდენ გამარტივებული აღრიცხვის ჟურნალის დაუმოწმებლობა ქმნის თუ არა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობას, იძლევა თუ არა მეწარმის საქმიანობაზე სრული ინფორმაციის მიღების, ყველა წარმოებულ ოპერაციაზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას და ქმნის თუ არა საგადასახადო დამალვის ან შემცირების საშიშროებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1542-1503(კ-10) 20.04.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1473-10 14.09.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4060-09 12.04.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი და სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ძირითად მოტივად მიეთითა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მუხლის ორივე ნაწილი ითვალისწინებს ერთსა და იმავე სანქციას, ამდენად არა აქვს მნიშვნელობა ზემოაღნიშნული მუხლის რომელი ნაწილის საფუძველზე მოხდება სანქციის შეფარდება. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 125.5 მუხლი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (2008 წელს მოქმედი რედაქცია საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ შემოღებული ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს

საგადასახადო კოდექსის 2009 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად და სასამართლომ სამართალდარღვევის არსებობა-არარსებობის დადასტურებისა თუ შეფასების პროცესში ყურადღება უნდა მიაქციოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების კანონისმიერ საფუძვლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1750-1706(კ-10) 29.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/755-10 18.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4040-09 15.02.10) მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება აენაზღაურებინა მოსარჩელებისათვის სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განაცდური ხელფასი მათი გათავისუფლების მომენტიდან არსებული სახელფასო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობის გათვალისწინებით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო ბრძანება გამოცხადებულია ძალადაკარგულად და არა ბათილად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ იძლევა მოსარჩელეთა უფლებების სრულად აღდგენის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორებს იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეთ ლიკვიდაციის თაობაზე მიღებული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მომენტიდან მერიის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, ბათილად ცნო სადავო განკარგულება და ქ. თბილისის მერიას დაავალა მოსარჩელების სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-1374-1338(კ-10) 13.04.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134<sup>1</sup>-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1697-10 28.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/781-10 09.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134<sup>1</sup>-ე მუხლები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად პრემიის თანხის დავალიანება არ განეკუთვნება კომპენსაციას და სახეზე არ არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის მოთხოვნა, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოთხოვნის ამ ნაწილის სკ-ის 129-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და დააკმაყოფილა სარჩელი პრემიის თანხის დაკისრების თაობაზე (გადაწყვეტილება №ბს-1588-1547(კ-10) 13.04.11).

– ანალოგიური საქმეა №ბს-517-512(კ-11)28.09.11.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №38/2305-10 29.11.10;

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/3661-10 30.09.10).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 218.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/1275-09 18.02.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1398-08 15.06.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას არასწორად გამოიყენა და განმარტა ზაკ-ის 218.2 მუხლი და აღნიშნულის შესაბამისად, სადავო აქტების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების გარეშე უარი უთხრა მოსარჩელეს მათ ბათილად ცნობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზაკ-ის 218.2 მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს არა კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ყველა აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის, არამედ იმ შემთხვევებისათვის, როდესაც 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემული აქტი შეესაბამება გამოცემის მომენტისათვის არსებულ ნორმატიულ მოთხოვნებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს ზაკ-ის ნორმებით განსაზღვრულ როგორც მატერიალურ, ისე ფორმალურ (პროცედურულ) სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1441-1404(კ-10) 31.05.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლი, ზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-60 მუხლი, 178-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/1312-10 15.09.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№3/866-10 13.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლი და აღნიშნა, რომ იგი იმპერატიული ხასიათისაა, ამდენად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად ეცნო მოსარჩელის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია. სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა ზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 178-ე მუხლი, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების დროს არ გამოიყენა ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად ეცნო უძრავ ქონებაზე განხორციელებული რეგისტრაცია, რაც სააპელაციო სასამართლოს მითითებით წარმოადგენდა სადავო აქტის არარად აღიარების საფუძველს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე სასამართლოს მხრიდან. ამდენად, საკასაციო სასამართლომ ვერ გამოიცილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით უზრუნველყოს ტერიტორიული სამსახურების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმებას, ეს ხორციელდება არა ზაკ-ის მე-13 თავის

საფუძველზე, არამედ ამავე კოდექსის მე-60 და 62-ე მუხლებზე დაყრდნობით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტის კანონიერების შემოწმება გარდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა უნდა მოხდეს ზაკ-ის ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება (გადაწყვეტილება №ბს-1695-1651(კ-10) 25.05.11).

**სასამართლოს შეცდომა (,,ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1534-09 25.11.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/751-09 15.06.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე ჩათვალა საგადასახადო მოთხოვნა კანონიერად, რომ არ გაითვალისწინა „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა და არ დაადგინა სწორად დაერიცხა თუ არა მოსარჩელეს სადავო თანხები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა: იმ გარემოების დასადგენად, რამდენად დაიშვება 2004 წლის 1 იანვრამდე სადავო ურთიერთობის მიმართ „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ კანონის გამოყენება, საკასაციო სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტის დადგენას, სადავო თანხები იყო თუ არა დეკლარირებული, ან შესაბამის ორგანოში აღრიცხული და დარიცხული. თუ საგადასახადო ვალდებულება წარმოშობილი იყო 2004 წლის 1 იანვრისათვის და ცნობილი იყო საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, მაშინ ეს ვალდებულება რჩებოდა ძალაში და მასზე ამნისტიის შესახებ კანონი ვერ გავრცელდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-693-670(კ-10) 02.05.11).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წ. 29 იანვრის №73 ბრძანებულება):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1687-10 28.09.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/191-10 18.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №73 ბრძანებულებაში 05.10.07წ. შეტანილი ცვლილებები და ისე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საცხოვრებელი ფართის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის შესახებ აქტის გამოცემა, რომ აღნიშნულ ფაქტზე არ გაარკვია ფართით მოსარგებლე სხვა პირების თანხმობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველს წარმოადგენს წერილობითი განცხადება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში, განცხადებას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ოჯახის ყველა წევრის თანხმობა და კანონიერი მოსარგებლის საცხოვრებელ ფართობზე რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ იყო საკმარისად დასაბუთებული სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სადავო ბინა დროებით სარგებლობაში არ გადასცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1818-1773(კ-10) 18.05.11**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 147.2 მუხლი და 80.4 „ა“ ქვეპუნქტი „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მოწმობის ნიმუშების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის №1058 ბრძანებულება):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-668-10 21.10.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/33-10 22.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, არასწორად იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 147.2 მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა როგორც ქონებაზე ყადაღის დადების, ასევე გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინების გასაჩივრების ვადა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მოწმობის ნიმუშების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 17.12.05 წ. №1058 ბრძანებულებით მაშინ, როდესაც იგი არ მოქმედებდა მოსარჩელისათვის პრეზუმფციული გადასახადის აღრიცხვის დროს და მიიჩნია, რომ სადავო დავალიანება წარმოადგენს აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებას და მისი დროულად გადაუხდელობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მეწარმეს ერიცხება საურავი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი სასამართლოში აღიძრა საგადასახადო კოდექსით დადგენილ 20-დღიან ვადაში. საქმის მასალებით არ დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის შესახებ გაანგარიშების (დეკლარაციების) წარდგენის ფაქტი, რაც შეიძლებოდა განხილულიყო საგადასახადო ვალდებულების აღიარებად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად იყო სახეზე საგადასახადო ვალდებულება, რაც შექმნიდა წინაპირობას ამ ნაწილში სადავო აქტების გამოცემისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1766-1721(კ-10) 31.05.11**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 352-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/278-10 31.03.10) გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/177-09 08.01.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, არ გაითვალისწინა სკ-ის 352-ე და 407-ე მუხლების მოთხოვნები იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულებიდან გასვლისას, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა განპირობებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით, რაც სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 407-ე მუხლის თანახმად ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და დააკმაყოფილა თავდაცვის სამინისტროს სარჩელი კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში (**გადაწყვეტილება №ბს-1664-1620(კ-10) 10.05.11**);  
– ანალოგიური საქმეა №ბს-775-769(კ-11) 20.09.11;  
იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/2572-10 22.12.10.  
ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თელავის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/286-10 25.10.10).

**სასამართლოს შეცდომა (საბაჟო კოდექსის 250.1 და 233.4 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2231-09 25.02.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2569-09 03.11.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ საბაჟო კოდექსის 233.4 მუხლის თანახმად, განმეორებითობა უკავშირდება არა სანქციის შეფარდებას, არამედ სამართალდარღვევის გამოვლენას. აღნიშნულის მიუხედავად პალატა ასკვნის, რომ სახეზეა არა განმეორებითობა, არამედ პირველი და მეორე სამართალდარღვევა, რამდენადაც არ დგინდება ამ სამართალდარღვევის ჩადენის ზუსტი დრო. სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება არ შეიცავდა მსჯელობას საბაჟო კოდექსის 250-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქონლის საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის 10% გამოანგარიშების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საბაჟო კოდექსის 235.4 მუხლი ითვალისწინებდა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმში თარიღის და არა მისი შედგენის ზუსტი დროის მითითებას. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ვჯარიმის ოდენობა არ გამომდინარეობდა 250.1 მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციიდან, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საბაჟო ღირებულებასა და გაზრდილ საბაჟო ღირებულებას შორის სხვაობის 10% აღემატება სააპელაციო სასამართლოს მიერ 250.1 მუხლის საფუძველზე განსაზღვრული 500 ლარის ოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1556-1517(2კ-10) 25.05.11**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 156.4 და 143.3 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (საქმე №3ბ/2098-10 20.10.10) გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4-10) 19.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას განმარტა, რომ გადამხდელის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად იმავდროულად ახდენს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს გადამხდელისათვის შესწორებული საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა. სააპელაციო პალატამ არ გამოარკვია, იყო თუ არა სახეზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული გარემოებები, მაშინ

როდესაც კანონში მკვეთრად არის გაწერილი ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომელთა არარსებობა განაპირობებს პირის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების შესაძლებლობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს „შესწორებული საგადასახადო მოთხოვნა“ გაეგზავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი „შესწორება“, საქმის რაიონული საგადასახადო ინსპექციაში დაბრუნების შედეგად ძალაში რჩება „საგადასახადო მოთხოვნა“ და გირავნობა/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ საგადასახადო ორგანოს შეტყობინება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2005 წლის 14 თებერვლის „სასაქონლო ზედნადებების გამოწერისა და გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის 3.15 მუხლი ითვალისწინებს „ზედნადების დანართების“ გამოყენების შესაძლებლობას და მოსარჩელის არგუმენტაციით, მისი მხრიდან სწორედ ამ სახის დანართები იქნა გამოყენებული, ამდენად საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ სათანადო შეფასება მიეცეს საქმეში წარმოდგენილ ზედნადებებს მათი დანართებითურთ და მათი მიუღებლობის შემთხვევაში ჩამოყალიბდეს მკვეთრად განსაზღვრული პოზიცია საგადასახადო კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-109-108 (კ-11) 22.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.1 მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/91-09 22.04.09) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1289-08 17.11.08) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების თავისებურება, კერძოდ ის, რომ ამ სახის დავების სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი უკავშირდება სარჩელის დასაშვებობას, რომლის შემოწმებაც წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლომ ისე იმსჯელა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, რომ არ დაადგინა აქტი გასაჩივრებულია თუ არა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.1 მუხლის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა კი ათვლება აქტის გაცნობიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკასაციო სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ დაადგინოს და გამოიკვლიოს, რამ განაპირობა აქტის ვადაგადაცილებით გასაჩივრება და არის თუ არა სახეზე ვადის აღდგენის კანონისმიერი საფუძვლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-170-168(კ-11) 08.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/530-10 06.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/2692-09 21.01.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა სადავო ანტრესოლის რეგისტრაციის საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57



დადგენილებასთან შესაბამისობას და მიიჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა მოცემულ დავასთან დაკავშირებით სასამართლოს შეფასების საგანს, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა ლეგალიზების კანონიერებაზე და ბათილად ცნო იგი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სარეგისტრაციო სამსახურს სადავო რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობა არ ართმევდა უფლებას ბათილად ეცნო მის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია მხარის კანონიერი ინტერესის არსებობის პირობებში. ამდენად, არასწორად მიიჩნია, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლზე მითითება. დავის საგანი სწორედ სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ანტრესოლის რეგისტრაციაა. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და სათანადო სამართლებრივი შეფასება მოეხდინა სადავო ანტრესოლი საკუთრების უფლებით მესამე პირის სახელზე დარეგისტრირდა ცალკე უფლების ობიექტად, თუ მთლიან ფართთან ერთად. სააპელაციო პალატამ უნდა ემსჯელა აპელანტის არგუმენტზე რეგისტრაციის საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ. საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1806-1761(კ-10) 21.06.11**).

#### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 417-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2263-09 01.07.10) გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-06-09 04.08.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ იქნა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მისი შეუსრულებლობისთვის და არა არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს არ ჰქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, ვინაიდან არ დასტურდებოდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე არ შეთანხმებულან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით შეუძლებელია იმ სამუშაოს მოცულობის დადგენა, თუ რა ოდენობა არ იქნა შესრულებული მიმწოდებლის მიერ. ხელშეკრულების პირობებით ასევე არ იყო დაკონკრეტებული თუ რა ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მხარეს ხელშეკრულების ამა თუ იმ მოცულობით შეუსრულებლობისას. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა მოპასუხის მიერ სამუშაოს ნაწილობრივ შეუსრულებლობის ფაქტი, რომლის ზუსტი მოცულობის დადგენა შეუძლებელია. შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს ანაზღაურება იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხეს დააკისრა ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა (**გადაწყვეტილება №ბს-1840-1794(კ-10) 09.06.11**).

#### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 411-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2748-10 21.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2371-10 10.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის, მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაემაყოფილებულიყო „იძულებით გადაადგი-

ლებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-5 მუხლების პირველი ნაწილის თანახმად, ამავე დროს სასამართლომ არ გაითვალისწინა სკ-ის 411-ე მუხლის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტებით, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა. სკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემწეობის გადახდა (გადაწყვეტილება №ბს-348-345(კ-11) 09.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.5 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/899 26.12.07) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1429 18.07.05) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის საჯარიმო თანხის ანაზღაურების დაკისრებისა და უნებართვო მშენებლობის დანგრევის დავალდებულების შესახებ კანონიერი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრევის (დემონტაჟის) შესახებ არქმშენისაპექციის მიერ მიღებული დადგენილება დამრღვევს საკუთარი ხარჯებით უნდა აღესრულებინა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანების თანახმად, მოპასუხის საწესდებო კაპიტალიდან ამოღებულ იქნა საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ვერტმფრენის ანგარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რის გამოც მოპასუხისათვის მის საწესდებო კაპიტალში არარსებული შენობის დანგრევის დავალდებულება საფუძველს მოკლებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის სარჩელი შპს-თვის უნებართვოდ აშენებული ნაგებობის დანგრევის დავალდებულების ნაწილში (გადაწყვეტილება №ბს-164-160(კ-08) 30.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.1 და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2008-10 18.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/134-10 12.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ განმეორებითობისათვის გადაწყვეტია დროის განსაზღვრულ პერიოდში ერთი და იმავე გადაცდომის ჩადენისა და გამოუსწორებლობის ფაქტი. ამდენად არასწორია ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება გადაცდომის განმეორებითი ხასიათზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმისთვის, რომ უფლებამოსილმა პირმა ვალდებულ პირს დააკისროს გასამმაგებელი ჯარიმა, პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს თუ რა სახის სანებართვო პირობების დარღვევას ჰქონდა ადგილი პირველი დაჯარიმების დროს და აღნიშნული დაჯარიმების თაობაზე მიღებული ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადაში მოხდა თუ არა დარღვეული სანებართვო პირობების გამოსწორება. პალატამ განმარტა, რომ ჯარიმის დაკისრების, ერთმაგი ჯარიმის გასამმაგების, გასამმაგებელი ჯარიმის კვლავ გასამმაგების და ბოლოს – ნებართვის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს თავდაპირველი სანებართვო პირობის (პირობების) დარღვევა-შეუსრულებლობა, ხოლო მომდევნო ეტაპებზე-დაჯარიმებების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ ამ კონკრეტული სანებართვო პირობების გამოუსწორებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის მიღება (გადაწყვეტილება №ბს-1912-1865(კ-10) 20.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის 29-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2298-10 02.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3556-10 22.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის 29-ე მუხლი არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ უკვე ანაზღაურებული აქვს დროებითი შრომისუნარობის თანხა. დასაქმებულს არა აქვს უფლება ერთდროულად მოითხოვოს და მიიღოს დახმარება დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტსაგან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 20.02.09წ. №87/6 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების დანიშნისა და გაცემის წესის“ 2.2 პუნქტზე როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან შვებულების ანაზღაურების გამომრიცხავ პირობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მინისტრის 25.08.06წ. №231/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის თანახმად, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო დახმარება გაიცემა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მაგრამ არა უშუაღეს 600 ლარისა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ის გარემოება, რომ შრომის კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შეილად აყვანის გამო შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არ გამორიცხავს დამსაქმებლის უფლებას გასცეს მუშაკზე დამატებითი ანაზღაურება, დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-190-187(კ-11) 13.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 3.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/489-10 16.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1742-09 16.12.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660

ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-3.2-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა, რომ მრავალბინიან სახლებზე მიშენება-დაშენების ლეგალიზაციისას სხვა მესაკუთრეთა თანხმობა სავალდებულო არ იყო. იმავდროულად ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საკითხის გადაწყვეტა „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 10.1 მუხლის საფუძველზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია იმის გარკვევა, არსებობდა თუ არა თანამესაკუთრეთა თანხმობის მოთხოვნის საჭიროება და დადებით შემთხვევაში, განხორციელებული მშენებლობის საფუძველზე მომხდარია იყო თუ არა საერთო ქონების იმ სახის განვითარება, რომელიც გავლენას მოახდენდა დანარჩენ თანამესაკუთრეთა საკუთრების უფლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-256-253(კ-11) 20.07.11**).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96. №180 განკარგულება):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/645-10 18.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1980-09 19.10.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა საქართველოს პრეზიდენტის 26.07.96 №180 განკარგულებაში 09.06.11 №09/06/02 განკარგულებით შეტანილი ცვლილება, განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტების გაუქმების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე ნორმატიული აქტების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა აქვთ. მიუხედავად მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არსებობისა, სადღეისოდ დადგენას საჭიროებს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რისთვისაც საჭიროა სათანადო ინფორმაციის გამოთხოვა, დაზარალებული მოსარჩელის მიმართ უკვე ანაზღაურებული და ასანაზღაურებელი დავალიანების თანხის ოდენობის დადგენა, მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-970-943(კ-10) 20.07.11**).

**ანალოგიური საქმეებია:** №ბს-1698-1654(კ-10) 27.07.11; №ბს-766-741(კ-10) 20.07.11; №ბს-943-917(კ-10) 20.07.11; №ბს-1283-1247(კ-10) 20.07.11.

**იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ:** №3ბ/1323-10 14.09.10; №3ბ/2134-09 10.02.10; №3ბ/2073-09 25.02.10; №3ბ/612-10 18.05.10.

**ზოლო გადაწყვეტილებები მიღებულია:** თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1447-10 13.05.10; საქმე №3/1327-09 12.10.09; საქმე №3/1228 16.10.09; საქმე №3/3706-09 21.01.10).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.10 №10/ნ ბრძანების მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2460-10 21.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3101-10 22.10.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი

აქტების გამოცემისას სადავო საკითხს არეგულირებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.02.10 №10/ნ ბრძანება, მაშინ როდესაც მოსარჩელე არ წარმოადგენდა აღნიშნული ნორმატიული აქტით რეგულირებადი ურთიერთობის სუბიექტს, შესაბამისად, მასზე მითითებული აქტი არ ვრცელდებოდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვილი კრედიტების აღიარების საკითხის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 28.03.05 №127 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი (გადაწყვეტილება №ბს-381-378(კ-11) 20.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 76-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-530-2010 06.10.10) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-236/09 13.04.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოარკვია, სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას იყო თუ არა სახეზე ზაკ-ის 76-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, არასრულყოფილად გამოიკვლია საკითხი იმის თაობაზე, ადგილი ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტში არსებითი შესწორების შეტანას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი არეუმენტაცია ტექნიკური შეცდომის თაობაზე ვერ ასაბუთებს მიწის საერთო ფართის ცვლილებას, რის გამოც საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ მკვეთრად გამიჯნოს რა სახის მოქმედება განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან; ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებით რეალურად მოხდა თუ არა ნაკვეთის საზღვრების კორექტირება იმ პირობებში, როდესაც იკვეთება ორი სხვადასხვა ნაკვეთის გადაფარვის ფაქტი და ამ უკანასკნელ შემთხვევაში რომელი ნორმატიული აქტი იძლევა მხარეთა თანხმობის არარსებობის პირობებში ნაკვეთის საზღვრების კორექტირების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1718-1674(კ-10) 20.07.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1060-2010 21.01.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/152-09 30.10.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა მოხელის გათავისუფლების უკანონობა და ბათილად იქნა ცნობილი ამის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამდენად განაცდურის ანაზღაურებისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა, აღდგენილი იქნება თუ არა მოხელე წინანდელ სამსახურში, რადგან მისი სამსახურში იძულებითი არყოფნა გამოწვეული იყო სწორედ

დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებით და შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ არსებობდა ხელფასის გაუცემლობის საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ამასთან მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი (**გადაწყვეტილება №ბს-498-493(3კ-11) 20.07.11**).

– ანალოგიური საქმეები: №ბს-640-635(2კ-11)08.09.11; №ბს-937-930(კ-11)29.09.11.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3პ/2756-10 15.02.11; №3პ/295-11 25.03.11.

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/325-09 10.11.09; საქმე №3/829-10 24.05.10).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99.3-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/2051-09 20.05.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1117-08 23.09.08) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა მთავარ საკითხზე – რამდენად წარმოადგენდა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უხეშ დარღვევას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, რამდენად წარმოადგენდა შვებულებამდე ერთი კვირით ადრე სამინისტროსადმი შეუტყობინებლობა უხეშ დარღვევას, რომელიც შეიძლება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი გამხდარიყო, სხვა საფუძველი კი მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ იყო. ამასთან, საქმეში არსებული ურთიერთგამომრიცხავი ცნობების მიუხედავად არ იქნა გამოკვლეული, შვებულების თაობაზე ერთი კვირით ადრე სამინისტროსადმი შეუტყობინებლობით, რეალურად რა ზიანი მიადგა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1795-1750(კ-10) 27.07.11**).

**სასამართლოს შეცდომა („პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და ზაკ-ის 193.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/388-10 16.06.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1830-09 07.12.09) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მრავალბინიან სახლებზე მიშენება-დაშენების ლეგალიზაციისას სხვა მესაკუთრეთა თანხმობა სავალდებულო არ იყო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ყველა გარემოების სრულყოფილი შეუსწავლობა არა აქტის უპირობოდ ბათილად ცნობას, არამედ ზაკ-ის 193.1 მუხლის საფუძველზე ხარვეზის თვით ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ შევსების ვალდებულებას ქმნიდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა წევრის თანხმობა საჭიროა ისეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომლის საფუძველზე ხდება: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინათმესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზაკ-ის 193.1 მუხლი ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლების გაცდენის შესაძლებლობას და არა ქვემდგომი ორგანოს ხარვეზის შევსების ვალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-275-272(2კ-10) 29.07.11).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი“):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2/2301 15.12.04) დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (24.11.03) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 20.12.01წ. №72 ბრძანებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვისა და მშენებლობის წარმოების ნებართვის გაცემის დროებითი წესის“ თანახმად, მშენებლობის ნებართვა საჭიროა ყოველგვარი შენობა-ნაგებობის და რეკონსტრუქციისათვის. ამდენად, მოპასუხემ სათავსოს მშენებლობით დაარღვია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „კ.ბ“, „კ.გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები, შეილახა მესამე პირის, როგორც საერთო სარგებლობის ეზოს მობინადრის უფლებები. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების მიმართ ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებით ხდება ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონება.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ობიექტის ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის დაკანონებას, ექსპლუატაციაში მიღებას. საჯარო რეესტრის ჩანაწერით დასტურდება, რომ ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენობა აღირიცხა საჯარო რეესტრში, შემდგომ კი ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა შენობა-ნაგებობის და დამხმარე ფართების გაყიდვა. „არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და ამჟამად მოქმედი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 13.8 მუხლი ობიექტის ლეგალიზების შესახებ

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ითავლისწინებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღებას. ამდენად, არ არსებობს ობიექტის დემონტაჟის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ (გადაწყვეტილება №ბს-296-234-კ-05 14.12.11).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების“ მე-12 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2062-10 18.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2117 19.07.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიკვლია მიწის ნაკვეთზე როგორ განხორციელდა საცხოვრებელი ზონა 2-ის ცვლილება საცხოვრებელ ზონა 5-ად, ან საერთოდ ჰქონდა თუ არა ადგილი მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ფუნქციური ზონის ცვლილებას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან ვერ დგინდებოდა, თუ რა პროცედურით განხორციელდა საცხოვრებელი ზონის ცვლილება და დაცული იყო თუ არა ზონირების წესი. მშენებლობის ნებართვის გაცემისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვას. საქმეზე არ იქნა დადგენილი სადავო თანხიდან მოსარჩელეს კონკრეტულად რა ოდენობის თანხა ჰქონდა მიღებული 1998, 1999, 2000 და 2003 წლების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-203-200(კ-11) 15.09.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი და „საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ლოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1806-10 29.10.10) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/73-10 14.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის სახელზე ნაკვეთის რეგისტრირების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მას არ გაუსაჩივრებია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო სია და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საკმარისი საფუძველია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მიწის მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემის ერთადერთ საფუძველს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სადავოდ განადა მოპასუხის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაცია, შესაბამისად რეგისტრაციის წარმოების შეჩერება მართლზომიერი იყო, მისი არ გასაჩივრება არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავ გარემოებას. ვინაიდან საგადასახადო სიით არ ირკვევა ნაკვეთის ადგილმდებარეობა, მისი მეშვეობით შეუძლებელია ნაკვეთის



იდენტიფიკაცია, ხოლო საგადასახადო ნახაზის შედგენა დამოუკიდებლად არ ადასტურებს სადავო ფართზე უფლებას. შესაბამისად, არ არის დასაბუთებული მოპასუხის გადამხდელთა სიაში შეყვანა სახელდობრ სადავო მიწის ფართობის ფლობის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია მომიჯნავე ნაკვეთები, არის ნაკვეთის გამცემი პირების ხელმოწერები, საქმეზე დადგენილი გარემოება, რომ სადავო ნაკვეთი არ გადაცემია მოსარჩელის მამას, კომისიის წევრების, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირების მოწმებულ მოწვევის გარეშე იქნა დადგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-179-177(კ-11) 28.09.11**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 415-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/1582-10 07.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3856-09 03.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა/დაკისრება უსაფუძვლო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან მოსარჩელემ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, ასევე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და უკანონო ხელშეშლის აღკვეთის შესახებ აღძრული სარჩელი გამოიხმო.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 415-ე მუხლი განსაზღვრავს ვითარებას, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი წარმოადგენს როგორც მოვალის, ისე დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელ შედეგს. ამასთან, შეფასების დროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით. სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, ექვემდებარება თუ არა 2008 წლის მიუღებელი შემოსავალი ანაზღაურებას და თუ ექვემდებარება – რა ოდენობით. ამასთან, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა მისთვის მიყენებული ზიანი, მხარეთა ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-299-296(კ-11) 13.10.11**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 137-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/654-11 09.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2452-10 29.07.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქმეში არსებული ადმინისტრაციულ ორგანოს წერილი არ მიიჩნია ვალის აღიარებად, მიუხედავად იმისა, რომ დავალიანება აღრიცხული იყო დეპარტამენტის ბალანსში და აღიარებულია შიდა ვალად. საკასაციო პალატამ არ გამოიყენა სკ-ის 137-ე მუხლის მოთხოვნა ხანდაზმულობის ვალის დენის შეწყვეტის თაობაზე.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის გაცემული ცნობები წარმოადგენენ დავალიანების აღიარებას, თანხის გადახდის დაპირებას და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვალის დენის შეწყვეტის საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დააკისრა

მოსარჩელის სასარგებლოდ სამივლინებო თანხის ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-1149-1138(კ-11) 12.10.11).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი):**  
თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/1791-10 28.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4041-09 30.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა მე-9 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა. სააპელაციო პალატამ არ შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა სადავო აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი, სრულყოფილად არ შეამოწმა მშენებლობის კანონიერების ფაქტი, არ უზრუნველყო მშენებლობის ნებართვის თაობაზე დადგენილების წარმოდგენა, არ შეაფასა მისი შინაარსი და არ განსაზღვრა, რამდენად წარმოდგენდა აღნიშნული აქტი იმ სახის დოკუმენტს, რომელიც მოსარჩელის მიერ წარმოებულ მიშენებას მოაქცევდა კანონიერების ფარგლებში.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო საქმიანობის კონტროლი რეგულირდება სპეციალური კანონით, ამ კანონით განსაზღვრული სამართალდარღვევა თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და მასზე ჩვეულებრივი წესით ვრცელდება ის ზოგადი ნორმები, რომელიც დადგენილია სამართალდარღვევისთვის. ვინაიდან აქტის გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილება, საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ საჯარიმო თანხის განსაზღვრა მოახდინოს ორივე ზემოაღნიშნული კანონის ნორმათა შეჯერების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-890-883(კ-11) 19.10.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 130-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/153-06 30.04.10) მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/164 10.05.99) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას შეაფასა მხოლოდ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი და ამ ფაქტის შეფასების საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება, არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ობიექტის პრივატიზების თაობაზე მათთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, რითაც დაარღვია სკ-ის 130-ე მუხლის მოთხოვნა, ასევე არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული მოტივები და მტკიცებულებები.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი შეტანილი იყო სასამართლოში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ხოლო სარჩელის სასამართლოში შეტანა წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დინებას, გარდა ამისა, სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი სასამართლო ვალდებული იყო მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება საქმის ყველა გარემოების ობიექტური და კანონიერი შეფასების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-384-381(კ-11) 04.10.11).

– ანალოგიური საქმეა №ბს-1122-1111(კ-კს-11) 21.11.11.

იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №3ბ/633-11 10.05.11.

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია გორის რაიონულ სასამართლოს მიერ (საქმე №3/61-10 23.02.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 97.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/293-11 23.03.11) გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/220-10 21.12.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელემ არ მიმართა შესაბამისი საგადასახადო ორგანოსთვის საგადასახადო დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილების შეტანის განსახორციელებლად, ჩათვალა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერია და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის წინაპირობები. სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ეფუძნებოდა საგადასახადო კოდექსის 97.1 მუხლის არასწორ განმარტებას. ამდენად უსაფუძვლო იყო სარჩელის უარყოფა საგადასახადო კოდექსის აღნიშნულ მუხლზე მითითებით.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტებით, ის გარემოება, რომ ვალდებულმა პირმა არასწორად აღრიცხა სახელმწიფოს წინაშე თავისი ვალდებულება, არ ართმევს მას უფლებას კანონით განსაზღვრულ ვადაში ეჭვქვეშ დააყენოს აღიარებული ვალდებულების მოცულობა ან მისი კანონიერება. საგადასახადო კოდექსის 97.1 მუხლი ვალდებულ პირს აძლევს საშუალებას, დეკლარაციაში შეტანილი ცვლილებისა და შესწორების საფუძველზე, უზრუნველყოს ვალდებულების კორექტირება. აღნიშნული კანონის მოთხოვნათა დაუცველობა კი არ შეიძლება იქცეს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებისაგან თავის არიდების საფუძველად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-844-838(კ-11) 26.10.11).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-913-2010 23.02.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-340/09 29.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გამოიყენა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.1 მუხლის 18.04.08წ. მოქმედი რედაქცია, მაშინ როდესაც კანონში 03.11.09წ. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად 11.1 მუხლი საერთოდ იქნა ამოღებული.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 21 ივლისის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და

განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკეთებს სპეციალურ დათქმას პრივატიზებასთან დაკავშირებული სადავო და ბათილად ცნობის საკითხების მხოლოდ სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-876-870(2კ-11) 20.10.11).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 12.11.04წ. №1398 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და ლტოლვილთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტისა და დოკუმენტის) გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1750-10 05.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4256-09 21.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და ლტოლვილთა პირადობის დადასტურებისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის (სამგზავრო პასპორტისა და დოკუმენტის) გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლში საქართველოს იუსტიციის მინისტრის 07.12.10წ. №227 ბრძანებით შეტანილი ცვლილებები. ასევე არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული ინსტრუქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა მინისტრის 27.07.11წ. №98 ბრძანებით.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო პირის რეგისტრაციიდან მოხსნა ხორციელდება ნებისმიერი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია, რომ რეგისტრაციიდან მოსახსნელი პირი კონკრეტულ მისამართზე არ ცხოვრობს უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში. რეგისტრაციიდან მოხსნა შეადგენს არა გამგეობის, არამედ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კომპეტენციას, რასაც იგი განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შუამდგომლობის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა აქტის გამოცემის, არამედ რეალაქტის განხორციელების დავალებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-260-257(2კ-11) 12.10.11).

**სასამართლოს შეცდომა („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 10.1 და 10.2 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2791-10 15.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3710 16.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 10.1 და 10.2 მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა ესაჭიროება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთა საფუძველზეც ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე. სააპელაციო პალატის აზრით, ყველა წევრის თანხმობის სავალდებულობას სამივე პირობის კუმულატიურად არსებობა განაპირობებს, რაც სახეზე არ

იყო. ამდენად არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ პროექტის შეთანხმებისათვის აუცილებელი იყო ამხანაგობის წევრთა 100 %-ის თანხმობა.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისე მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის საფუძველზე ბრძანების გამოცემა, რომ არ უმსჯელია და არ შეუფასებია გაცემული ნებართვა იწვევდა თუ არა იმგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ შედეგს, რომელიც საჭიროებდა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების არსებობას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტთა წრის განსაზღვრას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული, თუ ვის შეუძლია აქტიური ზეგავლენა მოახდინოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემულ აქტზე. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების დროს მესამე პირად უნდა ჩააბას მოსარჩელეც, რომლის მონაწილეობასაც წარმოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ მის საკუთრებაში არსებული ფართის წინ ახორციელებს მესამე პირი სარდაფში კარის ღიობისა და ჩასასვლელი კიბის მოწყობას, რითაც შესაძლოა ზიანი მიაღვეს მისი საკუთრების ლიკვიდურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და არქიტექტურის სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-680-674(კ-11) 15.11.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 139.10 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-219-2011 11.05.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/414-2010 31.12.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ ქურდობის ფაქტზე დაწყებული გამოძიება შემაჯამებელი გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საგადასახადო კოდექსის 139.10 მუხლით გათვალისწინებულ გადასახადის გადამხდელის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად, ვინაიდან არ არის დადგენილი დანაშაულის ჩამდენი პირი და სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი დადგენილებით არ არის დადასტურებულია, რომ აპარატის დაკარგვა გამოწვეულია სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა საკონტროლო-სალარო აპარატის დაკარგვა პირის, სულ მცირე, გაუფრთხილებელმა ქმედებამ, რაც შეიძლება გამოიხატოს აპარატის არასათანადო შენახვაში, უყურადღებოდ დატოვებაში და ა.შ. აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს პირისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრებას. დათქმა სხვა პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს თუ სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედება არ არის დადგენილი, ნებისმიერ შემთხვევაში სალარო აპარატის დაკარგვისათვის პასუხი უნდა აგოს გადასახადის გადამხდელმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები ეწინააღმდეგება საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნებს და ასკ-ის 32.1 მუხლის შესაბამისად ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები (გადაწყვეტილება №ბს-1174-1163(კ-11) 09.11.11).

**სასამართლოს შეცდომა („უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 25<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/2263-10 31.01.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/211-10 30.07.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების პროცესში შემოიფარგლა მხოლოდ მითითებით, რომ რეგისტრაცია განხორციელებულია იმ პერიოდისათვის მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-10 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. სასამართლომ ასევე არ დაადგინა, რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული უფლების დამდგენი დოკუმენტები ქმნიდნენ თუ არა რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძველს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასკვნები არ ემყარებოდა საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის შედეგებს, არ იყო შეფასებული სადავო შენობის რეგისტრაციის საფუძველები.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დოკუმენტები, რომლითაც მესამე პირის სახელზე აღირიცხა სახლთმფლობელობის სადავო ნაწილი ცნობილი იყო იურიდიული ძალის არმქონედ. ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია რეგისტრაციის კანონიერებაზე საუბარი იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასებული არ იყო რეგისტრაციის საფუძველი. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 25<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად რეგისტრაცია ცხადდებოდა ძალადაკარგულად, თუ ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნებოდა ცნობილი რეგისტრაციის საფუძვლად არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-623-618(კ-11) 02.11.11).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/67-11 24.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4557-10 30.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას გამოიყენა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი მაშინ, როდესაც მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების, პენსიის აღდგენის საფუძვლად უთითებდა არა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონს, არამედ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლს. სააპელაციო სასამართლო უარის თქმის საფუძვლად შემოიფარგლა მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ 8.5 მუხლზე მითითებით და არ უმსჯელია ხსენებული წესის 8.7 მუხლზე, რომელიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს შეეხება.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის პენსიის დანიშვნის ერთ-ერთი საფუძველი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის

მნიშვნელობა ჰქონდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 მუხლის ყველა ნაწილის ურთიერთკავშირში, სისტემურ განმარტებას. ამდენად, მოსარჩელის ასაკის გათვალისწინებით არასწორადაა საქმეზე დადგენილი მოსარჩელის მიერ თავდაცვის სამინისტროს ხაზით მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიღება. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით შესაძლებლობის შეზღუდვა მოსარჩელეს აძლევდა გარდაცვლილი სამხედრო პირის ოჯახის შრომისუნარო წევრის კომპენსაციის და არა მარჩენალის დაკარგვის გამო კომპენსაციის მიღების უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-758-752(კ-11) 22.11.11).

**სასამართლოს შეცდომა („სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-937-10 21.12.10) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/145-2010 12.10.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა სადავო სამართალურთიერთობის მიმართ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენების შესაძლებლობაზე. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა კანონის მე-16 მუხლის 2<sup>1</sup>-ე პუნქტი და არ იმსჯელა თუ რატომ არ იყო შესაძლებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი სისტემურად უნდა შეაფასოს იმავე მუხლის სხვა პუნქტებთან, ასევე ამავე კანონის სხვა ნორმებთან მიმართებაში და არა იზოლირებულად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა მოახდინოს სადავო ურთიერთობასთან შემხებლობაში არსებული „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის ნორმების ურთიერთშეჯერება, მით უფრო, რომ კანონის 59.1 მუხლის თანახმად, პროკურატურის ორგანოების თანამშრომლებს წელთა ნამსახურობაში ეთვლებათ შეიარაღებულ ძალებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურობის პერიოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №502-497(კ-11) 02.11.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 129.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2197-10 19.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2769-10 07.09.10) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას არასწორად გამოიყენა სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად, არ დაასაბუთა 2002 წლის საშემოდგომო გაწვევის დროს განხორციელებული საბუღალტრო ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის უარყოფა მაშინ, როდესაც მოპასუხეს მოსარჩელეთათვის ანაზღაურებული აქვს 2002 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესრულებული საბუღალტრო თანხები, რაც გამორიცხავს სარჩელის ხანდაზმულობას.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ არახანდაზმული მოთხოვნის კანონიერების შემოწმების პროცესში სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ მოპასუხისა და მესამე პირის ახსნა-განმარტებებს და არანაირი შეფასება არ მისცეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, რომელიც ადასტურებს 2002 წლის საგაზაფხულო გაწვევაზე თსსუ ცენტრალური კლინიკის ექიმ-სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ფაქტს, ასევე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლის თანახმადაც მუდმივმოქმედ სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიასთან არსებულ სადიაგნოზო ცენტრის თანამშრომლებს, გარდა 2002 წლის საგაზაფხულო გაწვევისა, შესრულებული საბუღალტრო ღირებულება არ მიუღიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-638-633(კ-11) 02.11.11**).

#### **სასამართლოს შეცდომა(სკ-ის 150-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-20-2011 02.03.11) ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/222-2010 16.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება არ შეუძენია კანონით დადგენილი წესით. ამასთან, იგი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მას საკუთრებაში გადაეცა მალაზია მაშინ, როდესაც სკ-ის 150.1 მუხლის შესაბამისად, შენობა (როგორც მიწის არსებითი შემადგენელი ნაწილი) შესაძლოა იყოს ცალკე უფლების ობიექტი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მალაზიის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემის შედეგად მას, როგორც ნაკვეთზე განლაგებული ობიექტის მესაკუთრეს, მიწის ნაკვეთის ნაწილზე წარმოეშვა საკუთრების უფლება, რამდენადაც მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილზე უფლება იწვევს მიწის ნაკვეთის ნაწილზე აქცესორულ უფლებას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა თუ არა მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი და აკმაყოფილებდა თუ არა რეგისტრაციის განხორციელებისას მოსარჩელე „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №859-853(კ-11) 09.11.11**).

#### **სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 217.1, 225-ე და 236-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/2163-10 16.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4769-06 18.12.08) შემოსული სააპელაციო



საჩივრის განხილვისას არ იყო დადგენილი სადავო თანხის კავშირი ინვერტარიზაციის აქტთან. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტით დასტურდება, რომ სადავო თანხა შედგება არა მხოლოდ ინვერტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აღურიცხავი საქონლისაგან, არამედ აგრეთვე სხვადასხვა გადასახადისაგან. საქმეში ვერ იქნა წარმოდგენილი ინვერტარიზაციის ჩატარების დავალება, საინვერტარიზაციო აქტში მითითებული მოსამართლის ბრძანება, შეტყობინების ჩაბარების დასტური. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათების შესწავლის გარეშე.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავალიანების აღრიცხვა საჭიროებდა საგადასახადო შემოწმების შედეგების გაფორმებას საგადასახადო ორგანოს აქტით (217.1 მუხ.). საინვერტარიზაციო აღწერის აქტი არ წარმოადგენს საგადასახადო შემოწმების შედეგების ამსახველ აქტს, ის მხოლოდ ასახავს აღწერას და არა იმ შედეგს, რასაც შემოწმების დროს ჰქონდა ადგილი. სადავო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 236-ე, 225-ე მუხლების თანახმად, საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო პირადი აღრიცხვის ბარათზე გადასახადის თანხების დარიცხვა განეხორციელებინა შემოწმების შედეგების ამსახველი საბოლოო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გადასახადის დარიცხული თანხების შესახებ შეტყობინება გაეგზავნა გადასახადის გადამხდელისათვის კანონით დადგენილი წესით, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. ის გარემოება, რომ სადავო თანხასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი ბრძანება და საგადასახადო მოთხოვნა, არ ადასტურებს პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული დავალიანების უსაფუძვლობას, ამდენად, სასამართლოს უნდა შეესწავლა საქმეში წარმოდგენილი პირადი აღრიცხვის ბარათები და დაედგინა დარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-808-802(კ-11) 07.12.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/673-11 10.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 3/5228-10) 28.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის შესავსებად სავალდებულო გრაფაში არასწორი მონაცემის შეტანა, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე და შედეგობრიობის თვალსაზრისით ფაქტობრივად უტოლდება ასეთი გრაფის შეუვსებლობას, რის გამოც სასამართლოს შეფასება ეწინააღმდეგება მუხლის დეფინიციას და პასუხისმგებლობის დადგენისა და განსაზღვრის სამართლებრივ პრინციპებს.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების დისპოზიციის ურთიერთაღრევას. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილში საუბარია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის არასრულ შევსებაზე ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია არსებობს, მაგრამ იგი არ იქნა მითითებული. პალატამ განმარტა, რომ საიდენტიფიკაციო კოდში დაშვებული მცირე შეცდომა არ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტურის არასრულ შევსებას. არასწორად ნაჩვენები ინფორმაცია არ წარმოადგენს უპირობოდ დაჯარიმების საფუძველს და იგი გამოყენებული უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1094-1083(კ-11) 07.12.11).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 224-ე და 236-ე მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1074-10 17.02.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/325-10 26.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ წარმოდგენილი პირადი აღრიცხვის ბარათი საკმარის მტკიცებულებაა მოსარჩელის მიერ სადავო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გაუქმებული დღგ-ს ჩათვლების გაცნობის თარიღის დასადასტურებლად და სწორედ ამ თარიღიდან უნდა ათვლილიყო საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი ჩათვლების აღდგენის 6 წლიანი საერთო ხანდაზმულობის ვადა, რომელიც 2009 წელს ამოიწურა, ხოლო მეწარმემ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით ჩათვლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში მხოლოდ 2010 წლის 13 ოქტომბერს აღძრა, ანუ ხანდაზმულობის ვადის გაშვებით, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველია.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა დაიწყოს სწორედ იმ დროიდან, როდესაც საგადასახადო ორგანომ მოსარჩელეს წერილობითი ფორმით აცნობა სადავო დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შესახებ. მოსარჩელისათვის მხოლოდ შეტყობინების ჩაბარება არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა გაუქმებული დღგ-ს ჩათვლების შესახებ. გარდა ამისა, შეტყობინებაში არ იყო მითითებული კონკრეტულად რა საფუძველით ერიცხებოდა მეწარმეს დავალიანება. ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2007 წლიდან, როდესაც საგადასახადო ორგანომ მოსარჩელეს აცნობა დავალიანების წარმოშობის საფუძველი. ამდენად, დღგ-ს ჩათვლების აღდგენის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული და არ არსებობდა აღნიშნული საფუძველით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-701-695(3კ-11) 01.12.11).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup>-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/902-11 09.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/883-11 19.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup>-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომლის თანახმად 2011 წლის 1 ნოემბრამდე ზედმეტად დარიცხული პენსია ექვემდებარება ლეგალიზაციას და მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა მხოლოდ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 19.2 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნებას. იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ წარმოადგინა პენსიიდან დაკავების შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“

საქართველოს კანონის 24<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, 2011 წლის 16 ნოემბრიდან უნდა შეწყდეს კასატორის კუთვნილი პენსიიდან 20%-ის დაქვითვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები და სოციალური მომსახურების სააგენტოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1251-1237(კ-11) 21.12.11).

**სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2430-10 25.01.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1042-10 03.09.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა მოსარჩელისათვის საჯარიმო სანქციის შეფარდების საფუძვლის არსებობაზე, იხელმძღვანელა მხოლოდ „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, რომელიც მოქმედებდა ჯარიმის დაკისრების დროს და არ გაითვალისწინა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც მოქმედებდა სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. აღნიშნული ფაქტის გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადავო აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადავო აქტები, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-627-622(კ-11) 21.12.11).

**სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2857 15.02.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4543-10 07.12.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის შენიშვნა. სასამართლოს აზრით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ დემონტაჟის განხორციელება არ ათავისუფლებდა მოსარჩელეს მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისაგან და ის გარემოება, რომ ბაქნის დემონტაჟის წინააღმდეგი იყვნენ მეზობლები არ ქმნის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

**საკასაციო პალატის განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ 28-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, მესაკუთრეს ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრისათვის ცნობილი გახდება, რომ მისი საკუთრება საფრთხეს უქმნის მესამე პირებს

და არ აცნობებს ასეთი საფრთხის შესახებ შესაბამის ორგანოებს, ასევე არ მიიღებს შესაძლებლობის ფარგლებში ზომებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამო სანქციის შეფარდება უნდა მოხდეს კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით იმ პირისათვის, რომლის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია სამართალდარღვევა, რადგან არ არსებობს ბრალის გარეშე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ არ იქონია მსჯელობა ბაქნის დემონტაჟის განუხორციელებლობაში მოსარჩელის ბრალეულობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-728-722(კ-11) 14.12.11).

### 3. დასკვნა:

შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად დადგინდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შემდეგი შეცდომები:

- ქვემდგომმა სასამართლოებმა სამართლებრივად შეაფასეს მტკიცებულებები, რომლებიც სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა, ასევე არ იყენებენ ასკ-ის 32.4 მუხლს მაშინ, როდესაც არსებობს ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები;
- სააპელაციო პალატამ დავა გადაწყვიტა არსებითად მაშინ, როდესაც ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე სრულყოფილად არ იყო მოპოვებული და გამოკვლეული საქმის გარემოებებთან დაკავშირებული მტკიცებულებები, ხოლო საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო;
- სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა არ შეიძლება მიენიჭოს ადმინისტრაციული საქმის განხილვისას, ასევე არ გაითვალისწინა და არ დაასაბუთა, თუ რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქო საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს განსახილველ სამართალურთიერთობის მიმართ, რითაც დაარღვია სსკ-ის 106-ე მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, შესაძლებლობა ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა დავა, რამდენადაც საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სსკ-ის 385.1 მუხლით განსაზღვრული საპროცესო დარღვევები არ გამოვლენილა და ხელახლა განსახილველად არ დაებრუნებინა საქმე საქალაქო სასამართლოსათვის;
- სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სსკ-ის 85-ე მუხლით სასამართლოსათვის მინიჭებულ ვალდებულებაზე, რომლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, ან სწორად ჰყავს თუ არა მოსარჩელეს ყველა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ დასახელებული მოპასუხე;
- სააპელაციო პალატამ ისე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საცხოვრებელი ფართის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემა, რომ არ გაურკვევია, არსებობდა თუ არა ფართით

- მოსარგებლე სხვა პირების თანხმობა აღნიშნულზე. უფრო მეტიც, ისინი საერთოდ არ ჩართულან საქმის განხილვაში, რითაც დაირღვა ასკ-ის მე-16 მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 247-ე და 248-ე მუხლები და მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილი იყო მომსახურების გამწვევი პირის მიერ კანონის დარღვევით ისე, რომ თავად მოსარჩელეს არ შეეძლო სცოდნოდა აღნიშნული ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის თაობაზე, არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი;
  - საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეებზე სააპელაციო პალატამ არ გამოარვია, იკვეთება თუ არა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული გარემოებები;
  - სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია ყველა დოკუმენტის არსებობის პირობებში, მართლოდენ გამარტივებული აღრიცხვის ჟურნალის დაუმოწმებლობა, ქმნის თუ არა საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემაღენლობას;
  - სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 139.3 მუხლი გამოიყენება 139.2 მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენების შემდეგ, ყოველ შემდგომ განმეორებაზე, მიუხედავად იმისა, თუ საგადასახადო კოდექსის 139.2 მუხლით განსაზღვრული ჯარიმის გამოყენებიდან რამდენი დრო გავიდა;
  - სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა, რამდენად შესაძლებელი იყო „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მოქმედი საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგოს ქვედა ზღვიდან გაანგარიშება;
  - სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის 67<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი და არ გამოიყენა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის 3.4 მუხლი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის“ მე-6 პუნქტის პირველი ნაწილი;
  - სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5<sup>10</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ამავე კანონის მე-5<sup>8</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და არ გამოიყენა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი, ასევე არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38.1 და 232.7 მუხლების მოთხოვნები;
  - სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა მე-9 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა;
  - სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საგადასახადო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების დისპოზიციის ურთიერთარღვევა მაშინ, როდესაც არასწორად ნაჩვენები

ინფორმაცია არ წარმოადგენდა უპირობოდ დაჯარიმების საფუძველს და იგი გამოყენებული უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ;

- სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29.3 მუხლი და მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იყო უფლებამოსილი განეხილა ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად ეცნო მოსარჩელის სახელზე განხორციელებული რეგისტრაცია;
- სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სკ-ის 137-ე მუხლის მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის თაობაზე, ასევე არ გაითვალისწინა სკ-ის 144.2 მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134<sup>1</sup>-ე მუხლები და სადავო საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენა სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი;
- სააპელაციო სასამართლომ ისე იმსჯელა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, რომ არ დაუდგენია აქტი გასაჩივრებელია თუ არა კანონით განსაზღვრულ ვადაში, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.1 მუხლის მოთხოვნა;
- სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის 1998, 1999 და 2000 წლების ნამსახურობის დანამატისა და კვების (უღუფის) კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქცია.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა  
და განზოგადების განყოფილება**